

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: ТИФЛИСЬ, РЕД. „ДРОВА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

წაღებ ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკა.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში
ნებისა ითვლება მათგან დაქუთუხილად დაქუთუ-
ხილობად.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსჯის და შეამოკ-
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯად წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა ვაზის „დროებაზე“

ივლისის პირველიდან წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ათხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს
დასჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზე-
თი მიესპოთ.

სამო-ამბავი

ქ. ქუთაისი, ივნისის 30-ს.

ვისწრაფვი გავიზიაროთ ის თვალ-
საჩინო და სასიამოვნო ამბავი, რომ
მელიც მოხდა დღეს ქუთაისში. მს
გახლავს საზოგადოებისაგან თანა-
გრძობის გამოცხადება ჩვენის საყვარ-
ელის მღვდელთ-მთავრის შაბრიელი-
სადმი და მუდარება მისი განზრახვის
გადათქმისა და ჩვენს ქუყანაში დარ-
ჩენისათვის. აი, როგორ მოხდა ეს:
ივნისის 30-ს დღის 10 საათზე ბულ-
ვარში გავრტყლდა ხმა, რომ ზოგი-
ერთი პირნი ეზადებოდნენ 11 საათზე

ავიდნენ გორაზე და სთხოვონ მღვდელთ-
მთავარს ჩვენშივე დარჩენა. შევლამ
დიდის სიამოვნებით მიიღო ეს კე-
თილი განზრახვა და მონაწილეობა მის
აღსრულებაში. ზოგნი საჩქაროდ გაე-
შურნენ შინისკენ შავი ტანისამოსის
ჩასაცმელად და მცირე ხნის შემდეგ
ბულვარშივე კარგა ძალი საზოგადოება
შეკრება ერთად წასასვლელად. ქრებაში
ერთივე ყოველი წოდების და ხარის-
ხის კაცები: თავად-აზნაურნი, თავიანთ
წინამძღოლებით, მოქალაქენი თა-
ვიანთი მოთავეებით, ჩინოვნიკებით და
კერძო პირებით, როგორც განათლე-
ბულნი აგრეთვე გაუნათლებულნიც.
სხვათა შორის, ამ შეკრებილებაში

კარსიკის ამბები

I
ბენედეტა

— მკ, ჩემო შეილო, ხელი გავ-
ციებია, თვალები აღარ გიბრწყინავს,
გული აღარ გიძვრის! სისხლი გად-
მოსჩქვებს შენის კრილობისაგან! ჩე-
მო საყვარელო შეილო მრსო პა-
ოლო! მათ მომიკლეს ეს! მკ, წყე-
ული იყავ, სამ გზის წყეული იყავ
მიქვლეტო, ჩემო შეილის მკვლელო!
შეილო, უშენოდ რა მეშველება? სი-
კვდილის მეტი აღარა დამჩენია-რა.
მე არც ქმარი მყავს, არც ნათესავები,
საუნჯე, ერთად-ერთი იმედი შენის მო-
ხუცი ღედისათვის მხოლოდ შენ იყავ
ნუგეშის მცემელი. მკ, ღმერთო!
რად წამართვი ჩემი საყვარელი შეი-
ლი? მეტის-მეტად სასტიკი ყოფილ-
ხარ!... მწუხარებამ გონება გა-
მომაცალა! მინ დამიბრუნებს ჩემს
შეილს, ჩემს საბრალლო მრსო პაო-
ლოს!

ასე მოსთქვამდა ტირილით მოხუ-
ცი სავერია. მისი შეილის გასისხლი-
ანებული გვამი წაბლის ხის ქვეშ იდო,
ღედა გვამის წინაშე იდგა და ათვა-
ლიერებდა მის სახეს, რომელიც სრუ-
ლიად გამოცვლილიყო.

ღამემ თავის შავი ზეწარი გადაფა-
რა ამ საშინელს სურათს. რამდენიმე
წამის სიჩუმის შემდეგ დედამ თვალე-
ბი ზეცისადმი აღაპყრო და შეჰყვი-
რა: . . .

— მოკვდა!... მოკვდა!... მკ, ნუ
თუ არაინ არის, რომ მისი ჯავრი
ამოიყაროს, უღმერთო მკვლელს სა-
მაგიერო გადაუხადოს?..

— მე აქ არა ვარ? მიუგო ვიღამაც.
შეშინებული სავერია მოტრიალდა.
მის წინაშე უძრავად იდგა ახალ-გაზ-
და ქალი; მისი სახეც ისევე გაყვით-
ლებული იყო, როგორც მიცვალე-
ბულისა; თვალები საშინლად უბრწყი-
ნავდა.

— მინა ხარ შენა?—ჰკითხა კანკა-
ლით სავერიამ.

— მე ბენედეტა ვარ, შენს შეილს
ძალიან ვუყვარდი, ჩემი გული მას
ვაკუთვნე.

— ღა შენ გინდა იმის ჯავრი ამო-
ყარო?—ჰკითხა მწუხარედ სავერიამ.

— ღიად, იმისთვის რომ მეც ისე
ვარ გულ-გამგირული მწუხარებით,
როგორც შენი შეილი მახვილით და
თვალეზედ ცრემლები იქამდის არ
შემაშრება, სანამ მრსო პაოლოს
მკვლელს სამაგიეროს არ გადაუხდის.

— მომეხვიე იმ სიტყვებისთვის,
რომელნიც ეხლა წარმოსთქვი და
რომელნიც მალამოდ დაედო ჩემს

ერთი, ფეხის ტყვილის გამო დაერ-
ლომილი თ. ნ. ლ—ძე. უფრო ხში-
რად, რაც მოულოდნელად და უეც-
რივ კეთდება, უფრო კარგად გამო-
დის ხოლმე, რადგან ვითონ დაშუა-
რი კვლის და უგულო კაცის ენა ერ-
თის მხრით და აყვია კაცის წამბილწ-
ველი ენა მეორეს მხრით ხრწნის
დასაწყისშივე კეთილს საქმეს. ღვეან-
დელი შემთხვევაც ასცილდა ამ გვარს
ბედს.

საათის 11-ზე ორმოცამდე შეკრე-
ბილნი პირნი გაემართნენ გზას და ცო-
ტა ხნის შემდეგ შეუდგნენ ამ პაპანა-
ქება სიტყვი იმ «ცოდელ» გორას,
საცა ამას წინედ უბრალოდ დაღვრი-
ლი სისხლი უნდა წაერეცხა ამ წამ-
ში მოსალოდნელ მაღლიანს საქმეს.
მღვდელთ-მთავრის ას წლოვან ცაც-
ხვებით დაჩრობებულს ეზოში დაშვე-
რა საზოგადოებას მართლა რომ მაღ-
ლიანმა ნიავმა და უსალავათო სიტყ-
საგან შეწუხებულ გულს, თითქო ის
დალოცვილი პირდებოდა სხვა რამე
კავშნების განდევნასაც საზოგადოების
გულისაგან.

ცოტა რამე თათბირის შემდეგ სა-
ზოგადოება მიწვეულ იქნა მღვდელთ-
მთავართან, რომელმაც მიიღო იგი
კურთხევით. მცირე სიჩუმის შემდეგ,

გულს; ღიად, შენ ღირსი იყავ ჩემი
შვილის ცოლობისა. წადი და რო-
დესაც მიქვლეტოს მარჯვენა ხელს
მოჭრილს მომიტან, მე შენ დაგლო-
ცავ, შეილს დაგიხებ.

ბენედეტა დაემხო თავის საქმროს
გვამს და უკანასკნელად აკოცა მისს
გაცაგებულს ტუჩებს, შემდეგ წამო-
დგა

— ქმარა ტირილი, სთქვა მან; ჩვენ
შემდეგაც ვიტრებთ, ეხლა კი მკვლე-
ლის ჯავრი უნდა ამოიყაროთ.

შემდეგ ხელი გვამისკენ გაიშვირა
და მაღლის ხმით სთქვა:

— მიქვლეტოს ჩემის ხელით მოჰვ-
კლავ, გეფიცები, ღიად, გეფიცები,
განიმეორა მან და სავერიასკენ მო-
ბრუნდა; თუ ვერ შევასრულებ ამას,
ცოცხალს ვეღარ მნახავ! მშვიდო-
ბით!

ამ სიტყვების შემდეგ ახალ-გაზდა
ქალი გაჰქრა...

ბენედეტა დღემ გაიარა...
მართლ, როდესაც ყაჩაღი მიქე-
ლეტო მწყემსის ქოხილამ გამოდიოდა,
თავისკენ მიმავალი ახალგაზდა ქალი
დაინახა. თუმცა ქალს ყვითელი ფე-
რი ედო, მაგრამ ყაჩაღმა მაინც იცნო,
რომ იგი ბენედეტა იყო.

— სად მიდიხარ ბენედეტა? ჰკით-
ხა გაკვირებულმა ყაჩაღმა.
— მე შენ გეძებდი, მიქვლეტო?

როცა საზოგადოება დალაგდა, წა-
მოდგა ქუთაისის მაზრის წინამძღო-
ლელი თ. ალმასხან ნიჭარაძე და მი-
მართა მღვდელთ-მთავარს შემდეგი
სიტყვით დაახლოვებით:

«მღვდელთ-მთავარო! ჩვენ გავიგეთ
ერთი თრიალ სამწუხარო ამბავი მთე-
ლის საზოგადოებისათვის... ჩვენ გა-
ვიგეთ, ვითომ თქვენ სტოვებდეთ
თქვენს ეპარქიას და გადადიოდეთ რუ-
სეთში. ჩვენ ვიხსენებთ აქ ერთი მის-
თვის, რომ განგიცხადოთ ჩვენი გუ-
ლითადი მწუხარება ამ შემთხვევის
გამო და გთხოვოთ მასთანვე არ ინე-
ბოთ, თუ შესაძლოა, თქვენი ქვეყნის
დატოვება. როგორც გვსმენია, მიზე-
ზი თქვენის განზრახვლების მიღებისა
უნდა იყოს, თქვენი ერთგული მო-
სამსახურის საწყალი მკვლელობის მხე-
ცურად მოკვლა ვიღაცა ავაზაკისაგან
და თქვენთან მოგზავნილი უსახელო
წერილები. ნუ თუ ერთ-ორმა ბო-
როტმა კაცმა უნდა დაგეხაროს მთე-
ლი საზოგადოება და მოაშოროს საყ-
ვარელი მოძღვარი თავის სამწყსოს.
არა, თქვენ მაგას არ ინებებთ. თქვე-
ნი ღვაწლი და სამსახური ქვეყნისადმი
იმდენად დიდია, რომ არ ისურვებთ
თქვენის ნებით შესწყვიტოთ იგი და
მოშორდეთ თქვენს სამშობლოს. იმე-

— მართალს ამბობ, ბენედეტა? რა
ნაირ მახარებს შენი აქ ყოფნა!...
ხომ იცი რომ მიყვარხარ. არა ერ-
თხელ გთხოვე ცოლად წამომყოლო-
დი. ჰოველთვის უარს მეუბნებოდი.
მხლა თანახმა ხარ?

— იქნება!

— იქნება!?. მხ, ერთხელ კიდევ გა-
ნიმეორე ეგ სიტყვა, მაგით ჩემს
გულს იმედი ეძლევა და სიხარულით
სძვრის.

ახალგაზდა ქალმა ზეცისადმი აღა-
პყრო თვალები, მაგრამ ჩუმად იყო.

— ზამიგონე, ბენედეტა უთხრა
ყაჩაღმა, წარსული დავივიწყოთ. და-
ვივიწყოთ, რომ მე ხელი მრსო პა-
ოლოს სისხლში მაქვს გასერილი.
შენმა სიყვარულმა კაცის მკვლელი
გამხდა. მე მშურდა... ვიტანჯებო-
დი... მეგონა, რომ შენ ის გიყვარ-
და.. მაგრამ ეხლა-კი ვხედავ, რომ
არა გყვარებია, თორემ შენ, ეხლა
აქ, ჩემს გვერდით არ იქნებოდი.
ზიყვარვარ არა, ბენედეტა? ზავიქცეთ
ამ ქვეყნიდან, წარდინიანო წავიდეთ:
იქ ჩვენ თავისუფალი და ბედნიერი
ვიქნებით. ღლიე ამ ჩემის ბოთლი-
დამ ნიშნად შერიგებისა; მე რე მე
დავლევ და ორივეს გული შეერთდე-
ბა.

— პირველად შენ დალიე, მიქვლე-
ტო, მიუგო ბენედეტამ წყნარად.

ღია, პატივს დასდებთ ჩვენს მხურვალე თხოვნასაც და არ აღასრულებთ თქვენ განზრახვლებას.

ამის შემდეგ ქალაქის თავმა მიმართა ყოვლად სამღვდელს ორიოდ სიტყვა.

«მღვდელ-მთავარო! სრული თანახმა ვარ იმისი, რაც ახლა მოგახსენათ ჩვენმა წინამძღოლელმა, მხოლოდ მას დავსძენ შემდეგს: ოცდახუთი წელი მეტია, რაც თქვენ სინათლესა ჰყვინთ ჩვენს ქვეყანას. ამის მოთხოვნას მე არ შეუდგები—ეს არის საეკლესიო ისტორიის საქმე, რომლის საუკეთესო ფურცლები ეჭირება თქვენის მოღვაწეობის აღწერას. ამ ოცდახუთ წელიწადში თქვენ სამსახურში, როგორც ჩვენ, შეგხვდებოდათ უსიამოვნება და წყენა, მაგრამ თქვენ იმდენად სულ-გრძელი ბრძანდებით, რომ ჯერ არ შემდრკალხართ და იმედოვნებთ არც ამის შემდეგ შედრკებით. რა უნდა იყოს ერთი ორი-ბოროტის კაცის მუქარა, სადაც მთელი საზოგადოება პატივს გაცემს და უყვარხართ? როცა ამნაირი განწყობილება არის მთელს საზოგადოებასა და ერთ კაცს შუა, მაშინ ბოროტს კაცს თვით შევინდებ, და ხელი აუხდამადგება, რომ კიდევაც მოინდომოს იმ ყოველის მხრით პატივსაცემ კაცის ხელის შეხება. თქვენ ხართ საზოგადოების მფარველობის ქვეშ და თქვენთან თავის განზრახვით ვერვინ მოხედავს. მსგავსი რომ არ იყოს თქვენ კარგად იცით, რომ თქვენთან ჩვენ ვერავინ ვაგვიწევს და ამისათვის თქვენ არ უნდა ინებოთ

ჩვენი ქვეყნის დატოვება, სადაც ამდენი კეთილი საქმე მოგიქმნენიათ.»

შემდეგ ამ ორის სიტყვისა თვით მღვდელთ-მთავარმა მოახსენა საზოგადოებას ორიოდ სიტყვა საუბარის მგზავსად.

მან ბრძანა, რომ განზრახვა მართლა მქონდაო აქედამ გადასავლისო, მაგრამ ოფიციალურად არ მითხოვნილაო, არამედ კერძოდ ვსწერდითო ეგზარხოსს ჩემს მწუხარებას და მდგომარეობას და რჩევას ვეკითხებოდით აქედამ გადაყვანაზედაო. იგი არ მიჩვედა აქედამ წასვლასო, რადგან აქ უფრო სასარგებლოდ მივაჩნდიო... როცა მკვდილიძე მოკლესო, იმ საათ-შივე მომივიდა წერილი, რომ მეც იმასვე უნდა ველოდეო. ჩემი სულის სიმდაბლე იყო, რომ შევინდო, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევინებულვარ. მე ერთი ხნისი კაცი ვარ... დიდი სიცოცხლე მაინც არა მაქვსო, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დავდებოდა მთელს ხახლსო, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტაო. ამან გამაბედინა ჩვენი ქვეყნის დატოვება, მაგრამ რადგან ვხედავ, რომ მართლა სწუხს საზოგადოება, არა ჰსურს ჩემი მოშორებაო და ამდენ პატივსა და ნუგეშსაც მცემს, რომ კიდევ გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალო და ვეცდები ვადვიხადო მცირედ მაინც ეს დაუშვასურებელი პატივისცემა, რომელსაც მე მიცხადებს საზოგადოებო. ამ დროს ყველამ თავი მოიხარა. სიამოვნების გრძობით ათრთოლვებულ კრებისაგან გულ-დამშვიდებულ

ლო, იმედ-მოცემული გამოდიოდა თითო კაცი და ყოვლად სამღვდელს ამბობს ყოფდა ხელს... ძრება გამოეთხოვა მღვდელთ - მთავარს... შველას ნეტარება ეხატებოდა სახეზე...

კ. ბაქრაძე.

ისიდორე წეროძე.

სად წაიყვან სადაურსა
სად აღუფხვრი საღით ძირსა.
წუხთაველი.

შზომოდ შეგვაწუხა და დაგვაბლა აქ მოსწავლე ქართველები ჩვენი სახელო მეგობრის ისიდორე წეროძის სიკვდილმა! ჩვენ აქ თითქმის ერთი ოჯახის შვილთ შევადგენთ და ყველასაგან უსაყვარლესი, უფროსი ძმა ჩვენი იყო საბრალო ისიდორე. მონება და დაწყლული გრძობანი ძლივს ითვისებენ დაუფასებელი ამხანაგის და მეგობრის სიკვდილს! დავკარგეთ მოწიფული ყრმა, დაგვმორდა თვის ტოლ-ამხანაგებს სამარადისოდ სახსოვარი ისიდორე წეროძე! მისი სიკვდილით ჩვენს საზოგადოებას მოაკლდა ერთი პატიოსანი მშრომელი და ერთგული შვილი. მანსვენებულის ცდა იყო სამშობლოსათვის გამოსადეგი კაცი გამხდარიყო, მაგრამ არ დასცალდა. ის იყო საუცხოოდ მომზადებული სასარგებლო შრომისთვის: ჯერ იყო დახლოებული და შეგნებული ექიმი და ამასთანვე კარგად მცოდნე ბუნებითი საგნებისა; მეცადინეობაში უმთავრესს ყურადღე-

ბას იგი პრაქტიკულს მხარეს აპყრობდა. ისიდორე წეროძე ბუნად დასტყბრომელი შრომის მოყვარული კაცი, მეტის-მეტი კეთილის გულისა, პატიოსანი და უნაგარო. მისი თავგანწირულება იმ ზომამდე მიდიოდა, რომ ავად-მყოფობისაგან დასუსტებული, ხლოროფორმით იკავებდა თავს და ისე მიდიოდა სწეულთა საჩინად.

ქეთილ-შობილურ და ენერგიულ სახის გამომეტყველებასთან მომხსო, შავი, სიკეთით სავსე, თვალების მქონე ისიდორე წეროძე ეკუთვნოდა დალოცვილის საქართველოს კუთხეს— ბურთას. როგორც მღვდლის შვილი ის სწავლობდა პირველად მუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის გათავების შემდეგ გადავიდა ამავე ქალაქის გიმნაზიაში. შესრულა ეს სასწავლებელი თუ არა, იგი შევიდა ძიების საეკტერინარო მეცნიერების ინსტიტუტში, რომელიც გაათავა მაგისტრის წოდებით. სამსახურში გამწესებული ხან პეტერბურგის მაზრაში, ხან რუს-ოსმალის ომის დროს ჯარში, წეროძე ასრულებდა ეკტერინარულ ექიმის მოვალეობას. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა ისიდორე წეროძე ამ ასპარეზზედ. მისი სურვილი იყო, რომ თავისი ენერგია და ცოდნა დამოუკიდებელის ასპარეზისათვის უფრო სარგებლიანად მოეხმარა. ამ განზრახვით მან დაიჭირა მისაღები ეგზამენები პეტერბურგის საექიმო აკადემიაში და გადმოვიდა ისევ ძიეში, საექიმო ნაწილზე. მს ნაწილი დიდი ხნით ექნებოდა მას შესრულებული და დღეს იქნება სამშობლოში ყოფილიყო, რომ სულ-მდაბლურ გაცე-

მხარებულმა ყაჩაღმა მაშინვე მოიწაფა ბოთლი. მაგრამ იმ დროს, როდესაც მან თავი უკან გადიოდა და ნელ-ნელა სვამდა, ბენედეტამ საჩქაროდ ამოიღო დამალული ხანჯალი და ტარამდის ჩასცა მას გულში.

მიქელეტომ შეჰყვირა და ბოთლი ხელიდან გაუარდა, შემდეგ ორივე ხელი კრილობაზედ მიიღო და მიწაზედ დაეცა. სისხლი ჩქაფა-ჩქუფით გადმოსდიოდა გულიდან. მან თავის მრისხანე თვალეები მიაპყრო ბენედეტას, რომელიც მის წინ გულ-ხელდაკრეფილი იდგა და გულ-ცივად უყურებდა მის ტანჯვას.

— მკვდები... იძახოდა სუსტის ხმით ყაჩაღი, — გვედები!.. ორსო-პაოლო, შენი სისხლი აიღეს.

მან ხრიალი შექნა. უკანასკნელი ღონე მოიკრიფა, წამოიწია ზეზე და შეჰყვირა.

— ბენედეტა... ბენედეტა... შენ იგი გყვარებია!..

ამ სიტყვების შემდეგ სული დალია.

ბენედეტა სიამოვნებით უყურებდა ყაჩაღის გვამს. შემდეგ მან გასისხლიანებულის ხანჯლით მიქელეტოს მაჯა მოსჭრა და გზას გაუდგა.

ბნელი ღამეა. მარი ზუზუნებს, წაბლის ხეები საშინლად ირყევიან. სოფელ შიკაჩას გზაზედ ვიღაც ქალი მიდის, მივიდა თუ არა სო-

ფელში ერთი სახლის კარი დაარახუნა.

— დედა, დედა, კარი გამიღე!

— ბენედეტა, შენა ხარ? ჰკითხა ვიღამაც სახლიდან.

— დიალ, მე ვარ.

ძარები გაიღო; ქარმა გააქრო სანთელი, რომელიც სავერიას ეჭირა ხელში. სახლში დაბნელდა.

— აბა? ჰკითხა სავერდიამ, ახლა შემიძლიან ჩემი შვილი დაგიძახო.

— მანა მე შენ დედა არ დაგიძახე? მიუგო ბენედეტამ. პენედეტა სახლში შევიდა და კარები მიხურა. როდესაც სანთელი ანთეს, ბენედეტამ ყაჩაღის მოჭრილი ხელი იატაკზე დაავლო.

— აი, ორსო პაოლოს მკვლელის ხელი?

მოხუცს სავერიას ჯერ შევინდა ხელის დანახვაზედ, მაგრამ მერე-კი გაეხარდა. მან აიღო მოჭრილი ხელი, ცოტაოდენი შეშა დაილილია და გარედ გამოვიდა. ბენედეტაც თან გაჰყვა, რომ გავეგო— რას იხამდა: რამდენსამე წამს იგინი ერთად მიდიოდნ. მოხუცი სავერია შესდგა, მერე ცეცხლი დაანთო და ხელი შიგ ჩავლო; ცეცხლს თანდათან აძლიერებდა. ბენედეტა უყურებდა მას და ტიროდა. ამ დროს მგზავრს რომ გაეარნა უსათუოდ გაიქცეოდა, ეს ორი არსება ტყის ქალები, ქაჯები ეგონებოდა.

როდესაც ცეცხლი ჩანელდა, მოხუცმა სავერიამ თავისი ფეხით გაქეცა ცეცხლი, საშინელმა ქარმა გაჰფანტა მუგუზლები და ფერფლი.

— მხლა სამართალი გადაჭრილია, სთქვა მან ალღევებულის ხმით, — ჩვენ ვადუხადეთ იმის მაგივრად! მოდი ჩემო შვილო; ჩემი სახლი ეხლა შენც გეკუთვნის, წავიდეთ და ორივემ ვიმგლოვოთ იგი.

შოველ საღამოს, ლოცვების დარეკის დროს, ორი შავებიანი დედა-კაცი მუდამ დაჩოქილი სდგას ძასება-ნელაში. მხურვალე ლოცვის შემდეგ იგინი ისევ სოფელში ბრუნდებიან. მინდვრიდამ მიმავალი გლეხები, მიუახლოვდებიან თუ არა მათს სახლს, მაშინვე ქულებს იხდიან: ყველანი გრძობენ მათს საშინელს მწუხარებას.

ზღვნი ფიცით ამბობენ, რომ ყოველს წელიწადს ამ დროს შუალამისას, საშინელი ალი გამოჩნდება ხოლმე ძასებანელაში, და ისმის ვილასიც ხმა... იგი გაჰსძახის:

«ბენედეტა... შენ გიყვარდა იგი...»

II

ბიძა-ჩამის ჩიბუხი

მსრედ, მე ვავთხოვდი, მე, რომელიც კაცები საშინლად მძაგდენ, და შეუღლებაც მოსაწყენ რაქმედ მიმჩნედა! მხლა კი დავუკავშირდი ერთს

კაცს, რომელიც მართალია მიყვარს, მაგრამ მაინც კაცია, ესე იგი ბატონი, ბატონი და ჯიუტი ქმნილება! ჯიუტობა!.. მს სიტყვა ჩემს ოცნებას აღაფრთოვანებს ხოლმე. — ჯიუტინობა, • ის ჯიუტიანობა, რომელიც აზრს უკან დასდევს და ეძებს რალსაც ახალს; ჯიუტიანობა! მს არის ღრუბელი, მთელი ქვეყნის მაცქერალი და ქართი მოსიარულე; ეს ვახლავთ ფანტაზია ჭკუისა და ღიმილი სიყვარულისა; მაგრამ ეს სიცოცხლეა, ბედნიერება... მს ვახლავთ გულის ფიქრი, ეს... ყოველისფერია! დიალ, მე მიყვარს ჯიუტიანობა, და აი რისთვის ვავთხოვდი! ვავთხოვდი იმისთვის, რომ თავში ფანტაზია მომივიდა!

მე ვსტყუოდი? როდესაც ვამბობდი, რომ ყველა კაცები საძაგლები არიან მეთქი: განა მე არა მყავს მოხუცი მეგვმე ბიძა, ტკბილი როგორც თაფლი, რომელსაც მხოლოდ ორი კერპი სწამდა: ჩიბუხი და მე? როგორც მცოდნე პირნი ამბობდენ ჩიბუხი, მშვენიერ ხელოვნობისა იყო; რა ნაირად უყვარდა და უფლიდა მას ბიძა-ჩემი. სხვა უიმისო აიღებდა და ყუთში შეინახავდა, მაგრამ ბიძა-ჩემს კი უნდოდა ყოველ დღე ენახა იგი, და დამტკბარიყო იმის ბოლით, რომელიც ქვრისაკენ ავიდოდა ხოლმე, ის ბოლი მე პირში ჩამდიოდა, მაგრამ ჩემთვის

მის წყალობით იძულებული შექმნილიყო მიტოვება ყოველი მისი ნაჭირნახულები და წასულიყო სამზღვარს გარეთ. პარიჟში ისიდორეს მოვლოდა ახალი ბოძოლა და გაჭირება; მაგრამ ამას იგი არ შეუშინდა. მოჰკიდა ხელი ჭამენის ფიზიკის საუკეთესო სახელომძღვანელოს და გარდმოთარგმნა კიდევაც ქართულად ელექტრონული განყოფილება. მისაც კი წაუყითხავს დიდს ინტერესს აღუძრავდა 1882—3 წ. «დროებაში» პარიჟის ელექტრონული მსოფლიო გამოფენის შესახებ მოგვითხრობს ბურჟუაზიის ნაწერი. ეს მოგვითხრობს იყო საბრალო ისიდორე წეროძე.

სუყოველგან და ყველაფერში მოსწონებული იყო განსვენებული, როგორც გურული. მალე შეითვისა მან ფრანგული ენა, დაიჭირა მშვენიერად ერთი-მეორეველად გადასასვლელი ეგზემენები პარიჟის საექიმო აკადემიაში და თითქმის გათავებული ჰქონდა ეს სასწავლებელი მას, რომ ამ დროს უეცრად წამოეწია ამხანაგთაგან დაუვიწყარს მეგობარს ისიდორეს ქლერქი. ამ უსაშვლო სენმა გზა გადუღობა ისიდორეს და დღეს კიდევ წაგვართვა ხელიდან საუცხოვო, ნიჭით საცხე ამხანაგი.

«სამძიმოა მეგობრისთვის, მეგობარსა როს მარხვიდეს» და უფროვე სამძიმოა, როცა სამშობლო ქვეყნიდან შორს, დიდს მანძილზე აბარებ უცხო შავს მიწას ამ მეგობარს... ისეც გულშეჭირებულმა ამხანაგებმა დავსაფლავებთ ისიდორე და ეს დასაფლავება იყო საცხე გრძობითა და მწუხარებით.

ეს სიამოვნება იყო, რადგანაც ბიძაჩემს ვხედავდი მხიარულის სახით, ჯანის-სიმართელით. მისი ჩიბუხის გუნდგუნდი ბოლი თეთრს დიდრონ ღრუბლებსა ჰგავდენ. **მხ!** იგი ანგელოზი იყო.

მართს საღამოს მან მითხრა: — იცი, ბენედეტა, რომ ის დღე, რა დღესაც, მე ეს ჩიბუხი გამიტყდებოდა, ჩემთვის გლოვის დღე იქნება; მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს შემთხვევა სხვა უფრო ცუდს შემთხვევას გამოიწვევს. ბაუფთხილდი შენს თავს.

— ჩემს თავსა, ბიძაჩემო!

მე გამეცინა ბიძაჩემის სიტყვებზედ, და ისევე ძველებურად განვაგრძეთ მყოფრო ცხოვრება.

მეუ შე სხვა კაცები არა მკვარებია, ეს იმისთვის, რომ იგინი კოპნიები და დიდების მოყვარენი იყვნენ, და არც ერთს მათგანს არა ჰქონდა ის გულ-კეთილობა, როგორც ბიძაჩემსა. მაგრამ ხანდისხან კი მინდოდა გამეცნო ცხოვრება, მისი მღელვარება, მისი საიდუმლოებანი. მაგრამ ნამდვილად კი, ჩემს გულს რაღაც სწყუროდა, უნდოდა აპოლოლოდა სოფლის მღელვარებას. შემდეგ, როდესაც ვმშვიდდებოდი გიჟისავეთ ვიცინოდი, მოგვებოდი ხოლმე ბიძაჩემს და ვეტყუოდი:

— ჰა, ბიძაჩემო, ეცადე შენი მშვენიერი ჩიბუხი არ გატყუო.

მტლზედ დებული კუბო მოფენილი იყო ცოცხალის და ხელოვნური ყვავილებისაგან გაკეთებულის თაიფულებით და გვირგვინებით. სხედარს მიჰყვებოდენ უგულითადესი მეგობარნი განსვენებულისა და რამდენიმე აქ მცხოვრები ჩვენებური ოჯახობა. არ ჰკლებია აგრეთვე სომხობა და რუსობა, რომელთაც გამოუტყდადეს განსვენებულს დიდი თანაგრძობა და მწუხარება.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო, ისიდორე! მწარე ხვედრმა შენ გარგუნა განსვენება უცხო ქვეყნის ცისქვეშ, მაგრამ რაც რამ იყო შენში სამაგალითო და საუკეთესო ეცოდინება შენს საყვარელ სამშობლოს, მარადის მოგიგონებენ, საყვარელო ძმაო, გულ-დაწყვეტილი მეგობრები!

დ. ივლისის 4-ს (ივნისის 22-ს). ჰეროჟი.

შინაური ქრონიკა

ღღეს დილით მეცხრე საათზე თბილისში დაბრუნდა ძაგვასიის მთავარ-მართებელი თავადი ღონდუკოვ-ძორასკოვი.

ჩვენ შევიტყეთ, რომ წინანაურის ეკლესია ქურდებს გაუტყენიათ და რაც დღესასწაულს დღეს ფული ან ნივთები შესულა სულ ერთიანად წაუღიათ.

ჩვენ გვეყრენ საგურამოდამ, რომ იქაური ტყეები დილით დღე

ამაზედ ისიც მაკოცებდა და მეტყუოდა:

— თავის დღეშიაც არა! ჰოველ ბიძას, რომელსაც დის-წული ჰყავს, უსათუოდ შეილიც უნდა ჰყავდეს, რომ მათ შორის სიყვარული დანიერგოს. მა მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის ბიძაშვილებ შორის რა ამბებიცა ხდება!.. რაც შემეხება მე, ამ საქმის შესახებ ძალიან მცირედი ცოდნა მაქვს.

ბიძაჩემის შვილი, ზღვის იუნკერი იყო, სახელად ანდრე ერქვა. ბანა მშვენიერი სახელი არ არის? ანდრე სამის თვით დაითხოვეს; იგი ჩვენთან მოვიდა, პედროზში, ჩვენს ძორასკოში, რომ ეს თავისუფალი დრო ერთად გავგეტარებინა. ზაზაბული იყო, სოფელი მშვენიერად იყო მოსილი, სურნელოვან ყვავილებისაგან მშვენიერი სუნი იდგა ჩვენ ბაღში.

ძალიან მიყვარს ყვავილები: როდესაც ვასათხოვარი ქალი ვიყავი ჩემი მოსასხმელი პატარ-პატარა ვარდებით და ყვავილებით იყო მოართული. მა აი ამ დროს მოვიდა ანდრე ჩვენთან. შვიდი წელიწადი იყო, რაც არ ენახა მას თავის მამა და მე, ბიძაშვილი. იგი მენავე იყო, ყოჩალი, კეთილი გული-სა და ძალიან ლამაზი ყმაწვილი კაცი, მაგრამ მეტის-მეტე თავისუფალი.

იგი მხიარულად მივიღეთ. ანდრეს თავისი მამა გაანაღდაზღავებული ეჩვენა

ობრდება და ჩანადგებოა იქნება; ისეთი დროც მალე მოვიდეს, რომ საწვავი შემატ ძნელად იმოგებოდესო. მით მურამიშვილის ქვრივის და მისი ვაჟის მამულის წილობა ერთს ეაქარს აქეთ იჯირით აღებული და ისე უდიერად ეკიდება ტყეს, რომ ამ სამი წლის წინად ტყით შემოსილი მთა ეხლა ალაგ-ალაგ სრულიად გაკაფილია. მუ მართლა, როგორც ამბობენ, პირობის ძალით მოიჯარადრეს უფლება აქვს თავის ნებისამებრ იხმაროს ტყე, მაშინ ხომ ორი-სამი წლის უკან მთლად ტყეც გაჩანადგება და გაიჩენება.

იქილამვე გვეყრენ, რომ ყველა იქაურს სოფლებს თითქმის ყოველს წელს წყალი ისე საშინლად დააკლდებათ ხოლმე, რომ არამც თუ მამულების მოსარწყავად, არამედ დასაღვინადაც აღარა აქეთ ხოლმე. ბამოცდილი პირები ამბობენ, რომ წყლის გამოკვანა მდინარე არავეილამ შეიძლება, მაგრამ მოთაურები არავენ არიან ხალხს ეს აზრი ჩაგონონო.

გაზეთის „Новое Обозрение“-ს შეუტყობს, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს, ორი წლის უქმად ყოფნის შემდეგ, სება მისცემის ფინანსთა მინისტრისაგან გასცეს მოკლე ვადიანი სესხის სამის წლის ვადით და არა უქმეს საშინლისა.

ამ უკანასკნელს დროს კავკასიის რეინის გზასზედ ბეგრს ქალს ილეუდენ სამსასურში. ესლა-კი, როგორც გაზეთ „კავკასს“ აცხადებენ, განსრასკა აქეთ

და მეც დიდი ქალი. ბიძაჩემმა რასაკვირველია, აჩვენა თავისი ჩიბუხი, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა იგი. ბიძაჩემის ჩიბუხი!.. ეს მთელი პოემა არის, რომელიც ჩაწერილია ჩემს გულში; მის წინასიტყვაობას ისეთი სიტყვები შეადგენდა, რომელსაც ვერ ვივიწყებ:

«ის დღე, რა დღესაც გამიტყდებოდა ჩიბუხი, იქნება ჩემი გლოვის დღე; მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს შემთხვევა სხვა უფრო ცუდს შემთხვევას გამოიწვევს. ბაუფთხილდი შენს თავს, ჩემო საყვარელო ბერტა!»

მართხელ ანდრემ მითხრა მე: გინდა, ბერტა, წავიდეთ პეველების დასაქვრად?

წავიდეთ-მეთქი, — ეუთხარი მე.

მა ხელი-ხელს გადახვეულნი გავსწიეთ სოფლისკენ იმ დროს, როდესაც ბიძაჩემი ჩიბუხის წვეით ფანჯარიდან გვიყურებდა.

რა სიცხე იყო იმ დღეს! მთელი სოფელი მოფენილი იყო გახურებულ მშის სხივებით, რომელსაც დედა-მიწაც ვახურებინა... მა ჩვენც თავები დაგვიხურდა. შემდეგ ტყეში ვასეირნებისა, დაეჭირეთ რამდენიმე ჰრელი პეველა და დაესხედით.

ჩემი ბიძა-შვილი პატრესა მცემდა და მალ-მალ მეტყუოდა:

— ღმერთო ჩემო, ბერტა, რანაირად ვაზდილხარ, რა ვალამაზებულხარ!

ქალები აღარ მიიღონ სამსასურში კავკასიის რეინის გზის სამსასურში

გაზეთის „Новое Обозрение“-ს შეუტყობს, რომ კავკასიაში მოყფი ტა-მოჟნის საქმეების შესახებ ფინანსთა მინისტრის ჩინოვნიკი ღენერალ-მაიორი პევეი უმაღლესის მთავრობისგან იგზავნება, რათა გამოიკვლიოს ხეუნი სამზღვრები სპარსეთისა და ავღანის შორის კასპიის აქითა მხარეში; ამასთანავე უნდა შეისწავლოს კასპიის აქითა მხარეში ვაჭრობის მიმდინარეობა და აღნიშნოს კასპიის ნაპირებზედ ის ადგილები, სადაც საქონლის საწყობების გამართვა შეიძლება.

გაქსაში ძალიან ცუდს მდგომარეობაშია აბრეშუმის წარმოება. ჰეიბი სრულიად დაისოცხენ. არსად რიგისა მოსაკვადი არა ყოფილა აბრეშუმისა. სე-ტა რამდენი აბრეშუმი ერგება ბ-ნს ლე-რისეს, რომელმაც იქ ფრანგულული აბრეშუმის ჰეის თესლა დაუბრავა. („ბაქოს ცხობები“)

ტელეგრაფი

ჩრდილოეთის საავტოტოსი ივლისის 2-ს.

ბერლინი. ბისმარკის ორგანი (ჩრდილოეთ გერმანიის საზოგადო გაზეთი) ამბობს, რომ ბისმარკს არას დროს არა სჯერდა ინგლისისა და რუსეთის შორის ომის მოხდენა, ამასთანავე არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შენი თვალები თვით მეუღლებნოვსაც კი შეაცდენს, შენი ტუჩები სწორედ მაყვალთა, რომელიც ყოველს წამს გინდა შექამო.

ჰოველივე ესენი სიცილსა მეგრიდენ მე და მიხაროდა კიდევ, იმიტომ, რომ მე ჩვეული არ ვიყავ ამისთანა ქებას და პაცივის-ცემას.

მთელი საათი ვისხედით ჩვენ იმ ადგილას. სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ჩემი სუნთქვა და კორსიკანული ჩიტების გალობა. მაგრამ მზე იწვერებოდა და უკანასკნელს სხივებს სცემდა მღუმარს ქვეყანას.

როდესაც ავდექით, ანდრე ჩაფიქრებული იყო, და მე თვალები ვაწითლებული მქონდა. მარტო ეხლა შევაშინე, რომ ჩემი პეველები ვაფრენილიყვნენ. ჩვენ ჩაფიქრებულები მივდიოდით შინისკენ, ხელი-ხელთ დაქვრივები, როგორც ბავშვები, რომელთაც შინ შესვლისა ეშინიანთ.

ის იყო ფენი შეეღვით კარებში, რომ ვაფიგეთ საშინელი წყევლა და რალასიც რახუნი. ჩვენ შეეცვიდით ოთანში, სადაც ენახეთ გულ-შემაწუნებელი სანახავი: ბიძაჩემს ის იყო გაეტეხნა ჩიბუხი.

მე და ანდრემ ავკრიფეთ ნატყებები... ისე მიცემდა გული, თითქოს უნდა გამსკლარიყო. ჩვენ დაუკოწიწეთ ჩიბუხი დიდის სიფრთხილით, და ჩვენი ქორწილის დღეს ბიძაჩემი იმ ჩიბუხითა სცემდა ბოლთას.

ე. მამუქას-შვილისა.



ამისთანა რამე გერმანიის ინტერესებს შეეფერებოდეს.

ლონდონი. სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა საზოგადოებათა პლატაში, რომ ჯარის მომსახურება სხვაში სავაჭრო არ არის. მთავრობა იმაზედ შეესწავლა არ მოითხოვს ავღანის საქმის შესახებ, რამდენიც წინააღმდეგობა კაბინეტმა მოითხოვს, მაგრამ მტკიცედ დაცვა უნდა უზრუნველყოს შესახებ ვადებულებას რუსეთთან საზოგადოებად მოარბევად; მანამ კი ჯარის შეარსება უნდა გაგრძელდეს. პლატამ მოახსენა მინისტრის განმარტება და კენჭი უყარა სამხედრო ხარჯს.

ბირჟა

შეტყობურება ივლისის 2.

Table with 2 columns: Item description and Price/Value. Includes entries for 100 მანათის კურსი, 100 მან. კურსი, 100 მან. პირველი გამოცემისა, etc.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 კათათვიდამ 1 მარიაშობის თევდელ 1885 წ.

Table with 2 columns: Item description and Price. Includes entries for გამოცემისა პური, სეთის ფქვილისა, etc.

იმევე ფქვილისა თორნიში გამოცემისა:

Table with 2 columns: Item description and Price. Includes entries for პირველი ხარისისა, მეორისა, etc.

ჯვარის-მამის პური:

Table with 2 columns: Item description and Price. Includes entries for პირველის ხარის ღავაში, მეორის ხარის ღავაში, etc.

ძროხის ხორცი:

Table with 2 columns: Item description and Price. Includes entries for პირველის ხარისისა, მეორისა, etc.

ლორის ხორცი:

Table with 2 columns: Item description and Price. Includes entries for პირველის ხარისისა, მეორისა.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდან ბათუმიმდე 8 საათზე და 35 წამ. დილით. ბათუმიდან თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით. თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით. ბაქოდან თბილისში შემოდის 8 საათ. დილით. თბილისიდან სურამისკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს. სურამიდან თბილისში შემოდის 8 საათზედ 24 წამ. დილით.

ბანსხალეზანი

სანიაუებელი მაშინები

ჩვენებურის (კვერით) ნაღვლის განაიხებულად, მოწყობილი ბ.ბ. შახ-ბეგისაგან და სამოილოვიჩისაგან, მხოლოდ რამდენიმე-ღა დარჩენილა. შასი 90 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ პლექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების სადგურში და ბ. შახ-ბეგთან, თბილისში, რკინის-გზის ეოკ-ზალზე, დეპოს ნაჩაღნიკის სადგურში.

შალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ შემდგის ადრესით მომართონ: Тифлисть жел. дор. вокзалъ, начальнику депо г-ну Казбекъ.

წერილების მომწერლებს უმორჩილესადა ვსთხოვთ თავიანთი ადრესები სწორედ და დაწვრილებით შეგვაცუობინონ; აგრეთვე სანიაუებელის გამოწერის დროს ისიც შეგვაცუობინონ, — თუ რკინის გზის რომელს სტანციაზედ მოისურვებს გამოწერილი მაშინა ჩაიბარონ. (10—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. შასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსანისა, იქნება რამ მანათილამ ათ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათნავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეტყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანის“ გამოცემული გ. ქართველიშვილი. (25—23)

მ. ჭილაძეების წიგნის მაღაზია

ქუთაისში.

ისე იდება: ეოველ-გვარი ქართული და რუსული წიგნები, რომელნიც სახელმძღვანელოდ არიან მიღებული ეოველ სასწავლებლებში.

წიგნები: საბავშვო, სამეცნიერო, იურიდიული და ბელეტრისტიკული.

სამწერლო (კანცელიაროული) მოწყობილებანი და სხვა სასწავლო ნივთები: ქაღალდი, კალამი, კარანდაში, რეჟულები სხვა და სხვა წერისათვის.

ყოველივე ქლიარ იავად.

ვსთხოვთ ბ. ბ. შედამხედველთ და მასწავლებელთ ჩვენის მხრის სასწავლებელთა დროით გვაცნობონ — რა და რა სახელმძღვანელონი იქნებიან საჭირონი მომავალ სასწავლო წლისათვის, რომ დროითვე შეუდგეთ იმ სახელმძღვანელოთა დაბარებას.

(50—5)

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩიხისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება პრწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩიხის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩიხი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩიხის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩიხის დამუასებლებმა შეადარონ

Table with 4 columns: Item description, Price, and other details. Includes entries for ჩიხი ჩიხი 1 მან., ჩიხის სხვაგან 1 მან., etc.

ტრაქტორები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნელოვანს და მაგარს ჩიხის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩიხის ფასი ეოველთვის უქაღალდოდ იქნება

შალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც ნ-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თევშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ეოველ-გვარი პირველ სეადაგან — აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩიხის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—24)

ამა წლის, ივლისის 1-დამ სასასლის ქუჩასე, არწრუნისეულ ქარვასლაში, გაიხსნება საწყობი

ფაბრიკისა

ი. ლავ. კოატს

აინსლიუში

კოჭის ქაფისა

დაკლებულის ფასებით

აბანტი ფერდ. ებნერი

(6—6)